სსიპ საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს

სახელმწიფო უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის

დებულება

დამტკიცებულია საქართველოს შოთა რუსთაველის

თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობით საბჭოს მიერ

(ოქმი#12, 27/12/2024წ.)

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი"), დაცვის სამსახური წარმოადგენს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც იცავს უნივერსიტეტის ქონებას, საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების შესაბამისად, უზრუნველყოფს საზოგადოებრივ წესრიგს, აგრეთვე წინამდებარე დებულების შესაბამისად დაკისრებული სხვა მოვალეობების შესრულებას.

1.2. დაცვის სამსახური მოქმედებს უნივერსიტეტის მთელ ტერიტორიაზე, უფლებამოსილია მოითხოვოს თანამშრომლების, სტუდენტების და უცხო პირების მხრიდან უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი სამართლებრივი ნორმების შესრულება.

1.3. დაცვის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კანონმდებლობა, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტები და წინამდებარე დებულება

1.4. დაცვის სამსახური ანგარიშვალდებულია რექტორისა და ადმინისტრაციის ხემძღვანელის წინაშე.

მუხლი 2. დაცვის სამსახურის უფლებამოსილება

2.1. დაცვის სამსახურის უფლებამოსილებაში შედის:

- უნივერსიტეტის შენობების და მასში განთავსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;

- უნივერსიტეტის ტერიტორიაზე კანონსაწინააღმდეგო ქმედებების აღკვეთა;

- საჭიროებისამბერ პოლიციისა და სხვა საგანგებო სამსახურების გამოძახება;

- უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების წესრიგის დაცვაზე ზედამხედველობა;

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მატარებელი პირის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაკისრებული ფუნქციის შესრულება.

- დაცვის სამსახური ვალდებულია არ დაუშვას უცხო პირები უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ზეპირი გამოკითხვის (ვინაობის გარკვევის) გარეშე.

2.2. დაცვისა სამსახურში შრომითი ურთიერთობის დაწყება, შეჩერება და შეწყვეტა მიეკუთვნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილებას.

მუხლი 3. დაცვისა სამსახურის სტრუქტურა, ხელმძღვანელობა და ძირითადი ფუნქციები

3.1. დაცვის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი მის დაქვემდებარებაში არიან დაცვის სამსახურის უფროსის მოადგილე და დაცვის თანამშრომლები (ინსპექტორები) და საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ან/და განსაზღვრული ფუნქციის შესასრულებლად მოწვეული პირები.

3.2. დაცვის სამსახურის უფროსის ძირითადი ფუნქცია-მოვალეობები:

- შეიმუშავებს, დაგეგმავს და განახორციელებს უნივერსიტეტის დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ სამუშაოებს;

- კოორდინაციას უწევს და წარმართავს დაცვის სამსახურის საქმიანობას და ხელს უწყობს სამსახურის ეფექტურ მუშაობას;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაცვის სამსახურის თანამშრომლებს აძლევს კონკრეტულ მითითებებს და დავალებებს სამსახურის საქმიანობასთან დაკავშირებით;

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს წინადადებებს დაცვის სამსახურში პასუხისმგებელ პირთა დანიშვნის ან გათავისუფლების საკითხებზე;

- უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით უზრუნველყოფს დაცვის სამსახურის შეთანხმებულ და კოორდინირებულ მუშაობას საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან;

- დაცვის სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას წარუდგენს წინადადებს საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზე;

- თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაცვის სამსახურის თანამშრომელთა წახალისების და დისციპლინარული ღონისძიებების გატარების მიზნით წინადადებით მიმართავს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

- საჭიროების შემთხვევაში ატარებს სამსახურებრივ მოკვლევას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

3.3 სამსახურის უფროსის მოადგილის ფუნქცია-მოვალეობები

- სამსახურის უფროსის დავალებით წარმართავს დაცვის სამსახურის საქმიანობის კოორდინირებას და ხელს უწყობს სამსახურის ეფექტურ მუშაობას;

- სამსახურის უფროსთან შეთანხმებით უზრუნველყოფს დაცვის სამსახურის კოორდინირებულ მუშაობას საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებთან;

- დაცვისა სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმებაზე კონტროლის განხორციელება;

- უნივერსიტეტის ობიექტებზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით არსებული ვითარების გაკონტროლება და კანონის, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის დარღვევის, ანდა სხვა პრობლემატური შემთხვევების გამოვლენისას, სამსახურის უფროსის დაუყოვნებლივი ინფორმირება სამომავლო რეაგირებისათვის;

- სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად შეიმუშავებს, დაგეგმავს და განახორციელებს უნივერსიტეტის დაცვის უზრუნველყოფისთვის აუცილებელ სამუშაოებს;

3.4. დაცვის სამსახურის თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობები

- დაცვისა სამსახურის უფროსთან შეთანხმებული სქემის შესაბამისად დღე-ღამის განმავლობაში ობიექტების შემოვლა-შემოწმების განხორციელება;

- უნივერსიტეტის ობიექტებზე დამონტაჟებული ვიდეომეთვალყურეობის და სასიგნალიზაციო მოწყობილობების მეშვეობით არსებული ვითარების გაკონტროლება და კანონის, შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის დარღვევის, ანდა სხვა პრობლემატური შემთხვევების გამოვლენისას შესაბამისი პასუხისმგებელი პირის დაუყოვნებლივი ინფორმირება და მიღებული მითითებების შესრულება;

- დანაშაულებრივი ხელყოფის ან აღნიშნული ხელყოფის საფრთხის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოებისთვის და დაცვის სამსახურის ხელმძღვანელობისთვის მყისიერი შეტყობინება;

- განუწყვეტლივ იმყოფებოდეს დასაცავ კორპუსში, ყურადღებით, აკონტროლოს კორპუსი, ელექტროდამცავი და სახანძრო სიგნალიზაციის მუშაობა, კარგად იცოდეს კორპუსში კაბინეტებისა და აუდიტორიების განლაგება და თავისებურებანი. დაიცვას მასზე მიმაგრებული კორპუსის ქონება დაზიანებისაგან, გაძარცვისაგან, ხანძრისაგან ანდა სხვაგვარი ავარიისაგან. პერიოდულად გააკეთოს შემოვლები კორპუსში განსაკუთრებით ღამის საათებში;

- სამსახურში ყოფნისას დაიცვას შინაგანაწესი, ეთიკის ნორმების შესაბამისად მოიქცეს უნივერსიტეტის თანამშრომლებთან, სტუდენტებთან და უნივერსიტეტში სტუმრად მოსულ პირებთან ურთიერთობაში;

- უნივერსიტეტში შინაგანაწესის შესაბამისად, აღკვეთოს ნებისმიერი დარღვევა, მათ შორის, კორპუსში ალკოჰოლური სასმელების შემოტანა, თამბაქოს მოწევა, აზარტული თამაშები, არ დაუშვას კორპუსში რაიმე ინვენტარის ან ნივთის შემოტანა–გატანა ხელმძღვანელობის ნებართვის გარეშე;

- მკაცრად დაიცვას და სხვასაც მოსთხოვოს დაიცვან სახანძრო უსაფრთხოების წესები, რომლებიც გამორიცხავენ ხანძრებისა და აალების შემთხვევებს;

- დაცვის სამსახურის სხვა თანამშრომლებთან ერთად მიიღოს ზომები დასაცავ ობიექტზე უკანონოდ შეღწეული პირის დასაკავებლად;

- სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, შეამოწმოს კორპუსი და მოსთხოვოს იქ მყოფ პირებს შენობის დატოვება.

4. დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ამ დებულების დამტკიცებისათვის დადგენილი წესის შესაბამისად. წინამდებარე დებულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობა არ გამოიწვევს მთლიანად დებულების სხვა მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის ბათილობას.

4.2. დებულება ძალაშია დამტკიცებისთანავე. მისი დამტკიცების უფლებამოსილება გააჩნია წარმომადგენლობით საბჭოს.